მრგვალი მაგიდა -

საგზაო მოძრაობის მონაწილეთა (მძღოლი, მგზავრი, ქვეითი) უსაფრთხოება და საჯარო-სამართლებრივი კონტროლის უზრუნველყოფა

მაისი, 2019 წელი

იმის გათვალისწინებით, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა უდიდესი დანაკლისი და მწუხარება განიცადა ავტოსაგზაო შემთხვევისას ლექტორის თათია კერესელიძის და სტუდენტის სალომე ლომთათიძის გარდაცვალების გამო, გადავწყვიტეთ საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებასა და დაცვის მექანიზმებზე მრგვალი მაგიდის ჩატარება, რომელიც მეტ ინფორმაციას მოგვცემს იმის თაობაზე, თუ რა ვითარებაა ამ მიმართულებით.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების მონაწილეობით და შინაგან საქმეთა სამინისტროს, თბილისის მუნიციპალიტეტის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, კომპეტენტური ექსპერტების და სტუდენტების ფართო ჩართულობით ატარებს მრგვალ მაგიდას თემაზე:

„საგზაო მოძრაობის მონაწილეთა (მძღოლი, მგზავრი, ქვეითი) უსაფრთხოება და საჯარო-სამართლებრივი კონტროლის უზრუნველყოფა.“

სტუდენტთა მრგვალ მაგიდაში მონაწილეობა: მრგვალ მაგიდაზე დასწრების და დისკუსიაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა აქვს იურიდიული ფაკულტეტის ყველა დაინტერესებულ სტუდენტს.

სტუდენტთა მოხსენებები: მრგვალ მაგიდაში მოხსენების გაკეთების შესაძლებლობა მიეცემათ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს.

მოხსენების გაკეთების შესაძლებლობა მიეცემა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტს, რომელსაც ჩაბარებული აქვს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი ან ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი I (საჯარო მმართველობა).

მრგვალი მაგიდის მოხსენებების თემატიკა: მრგვალი მაგიდის მოხსენებების თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს იმ პრობლემატურ და აქტუალურ საკითხებს, რომელიც გამომდინარეობს და კავშირშია საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებასა და საჯარო-სამართლებრივი კონტროლის უზრუნველყოფასთან.

წარმოდგენილი ნაშრომის მთავარ ღირსებად მიიჩნევა პრობლემის დასმა, ლოგიკურობა, არგუმენტირებული დასკვნები, პრობლემის გადაწყვეტის გზები, ავტორთა შეხედულებები კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფის მიზნით და არსებულის გასაუმჯობესებლად, კვლევის სხვა მეთოდებთან ერთად შედარებითი მეთოდის გამოყენება, შესაბამისი აქტუალური, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის, პრაქტიკის მითითება.

სტუდენტთა მოხსენებების სავარაუდო თემატიკაა:

საგზაო უსაფრთხოების წესების დაცვა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მათ შორის Tax-ით) გადაადგილება; თბილისის მერიის რეგულაციები Taxi -ით მგზავრთა მომსახურებასთან დაკავშირებით; საგზაო მოძრაობის მონაწილეთა (მძღოლი, მგზავრი, ქვეითი) უსაფრთხოება და დაცვა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება; საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

თემატიკის ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, მომხსენებელს შეუძლია მისი შეხედულებით შეარჩიოს ნებისმიერი აქტუალური საკითხი რომელიც გამომდინარეობს მრგვალი მაგიდის სახელწოდების შინაარსიდან.

ტექნიკური მოთხოვნები და ციტირების წესი: სტუდენტმა მოხსენების სატიტულო გვერდზე უნდა მიუთითოს თემის სახელწოდება, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის რომელი კურსის სტუდენტია, ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი.

მოხსენება უნდა იყოს მკაფიოდ სტრუქტურირებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა), გამოიგზავნოს ელექტრონულად შესაბამის ელექტრონულ მისამართზე, დაბეჭდილი უნდა იყოს შრიფტით - Sylfaen (ქართ.) და Sylfaen (ლათ.), ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 12, სქოლიოების ტექსტის შრიფტის ზომა - 10, სტრიქონებს შორის დაშორება უნდა იყოს ერთი ერთეული (Single), აბზაცი გამოიყოს ერთი Enter-ით (და არა Tab-ით), მარცხენა და მარჯვენა მხარეს უნდა იყოს 2,5-2,5 სმ სიგანის მინდორი, თითოეული გვერდი უნდა დაინომროს გვერდის ბოლოს, მარჯვენა მხარეს, ნაშრომი უნდა ასახავდეს სახელწოდებას, ავტორის ვინაობას, ავტორის ტიტულზე მითითებას.

მოხსენების სტრუქტურულ შემადგენელ თავებს/ქვეთავებს ენიჭება ნუმერაცია არაბული რიცხვებით (1.;2.;1.1.;2.2.3.; და ა.შ.), ინომრება შესავალი და დასკვნაც. სასურველია მოხსენებაში განვითარებული მსჯელობა წარმოდგენილ იქნეს მე-3 პირში.

სქოლიოები უნდა იყოს განთავსებული შესაბამისი გვერდის ბოლოს. ნაშრომს არ დაერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. ციტირებისას აკადემიური წერის მოთხოვნები დაცული უნდა იყოს.

გვერდების რაოდენობა: ნაშრომის/თემის გვერდების რაოდენობაა 10 გვერდამდე.

კონსულტაციის მიღების უფლება: დაინტერესებული სტუდენტი კონსულტაციის მისაღებად უფლებამოსილია დაუკავშირდეს ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების ნებისმიერ წევრს, ასევე კითხვები გამოგზავნოს მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

ნაშრომის გამოგზავნის ვადა და მისამართი: იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის მრგვალი მაგიდა, მოხსენებათა წარმოდგენის ვადა შემჭიდროებულია. დაინტერესებულმა სტუდენტმა მოხსენება უნდა გამოაგზავნოს მიმდინარე წლის არაუგვიანეს **10 მაისისა** შემდეგ ელქტრონულ მისამართზე: administrativelaw@tsu.ge.

მრგვალ მაგიდაზე მოხსენების დაშვების წინაპირობა: მრგვალ მაგიდაზე დაიშვება მხოლოდ ის მოხსენება, რომელიც აკმაყოფილებს მრგვალი მაგიდის თემატიკისათვის გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ტექნიკურ მოთხოვნებს.

მოხსენებათა რაოდენობა: მრგვალი მაგიდისთვის შეირჩევა არაუმეტეს **4 (ოთხი)** მოხსენებისა.

მოხსენების დაშვების შესახებ შეტყობინების მიღება: მოხსენების დაშვების შესახებ ავტორები შეტყობინებას მიიღებენ ელექტრონულ ფოსტაზე მიმდინარე წლის არა უგვიანეს 18 მაისისა.

პრეზენტაციის ხანგრძლივობა: მომხსენებელმა მრგვალი მაგიდის მონაწილეთა წინაშე უნდა წარმოადგინოს 10 წუთიანი პრეზენტაცია Power Point-ის პროგრამის გამოყენებით (შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნება).

სერთიფიკატის გადაცემა: სტუდენტებს, რომლებიც მოხსენებით გამოვლენ, გადაეცემათ მრგვალ მაგიდაში შესაბამისი მოხსენებით გამოსვლის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

საუნივერსიტეტო სტიპენდიის მიზნებისათვის, მრგვალ მაგიდაში მომხსენებლად მონაწილეობა და შესაბამისი სერთიფიკატის მიღება სტუდენტს ჩაეთვლება სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობად.

მრგვალი მაგიდის ჩატარების თარიღი: მრგვალი მაგიდა ჩატარდება არაუგვიანეს 31 მაისისა. მრგვალი მაგიდის ჩატარების კონკრეტული თარიღი, დრო და ადგილი, დღის წესრიგი გეცნობებათ დამატებით.